ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31240401**
თარიღი: **09/02/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ.“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის” მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის სამოტივაციო წერილს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტსა და ორთოფოტოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დანართი - 6 (ექვსი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N12

ქ. ლანჩხუთი **17.10.2023 წელი**

12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე, მაკა მშვიდობაძე, კარლო წილოსანი.

არ ესწრებოდა: კახაბერ ასკურავა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იმედაიშვილი. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: თამაზ იმედაიშვილი; გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ.“

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

დამატებითი საკითხი:

1. 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი ხუხუნაიშვილი; გიორგი ხელაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ იმედაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 19 ივლისს N1334 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით შემცირდა გზების სარეაბილიტაციო (ორგ.კოდი 0201) სამუშაოების დაფინანსება 35740 ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 22 აგვისტოს N1530 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით გზების რეაბილიტაციის (ორგ.კოდი 0201) დაფინანსება გაიზარდა 1550000 ლარით. აქედან, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუხუთიდან სოფელ გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია 300001 ლარით, მათ შორის რეგ,ფონდიდან-285000 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტი-15001 ლარი; მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია გაიზარდა 869800 ლარით, მათ შორის - რეგ,ფონდის ხარჯზე - 826310 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 43490 ლარი. ჩიბათის ადმინისტარციულ ერთეულში სოფელ ჭალაში გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 37084 ლარით, რეგ.ფონდით - 35229 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 1855 ლარი; ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების რეაბილიტაციაზე მიიმართა 424696 ლარი, აქედან რეგ.ფონდიდან 403461 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება - 21235 ლარი.

აღნიშნულ პროექტებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიმართული 81581 ლარის უზრუნველყოფა განხორციელდეს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის დაფინანსების 81581 ლარით შემცირების ხარჯზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, გარდა წარმოდგენილისა, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებიდან და შპს ,,სტადიონი“-დან შემოტანილი იქნა გარკვეული წინადადებები, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს დაზუსტება და საბოლოო მონაცემები დროულად იქნება მიწოდებული საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციებისთვის.

საკითხის ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ.“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ მოხარულია ნოდარ დუმბაძის სახელი რომ ენიჭება ქუჩებს, რასაც კომისიის წევრებიც ერთხმად დაეთანხმნენ.

საკითხის ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დამატებითი საკითხი:

2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა და აღნიშნა, რომ ტექნიკური ცვლილება შედის განკარგულებაში. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საკითხის ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა: დეპუტატმა მაცაცო ბურჭულაძემ ისაუბრა საფო მგელაძის ქუჩის პრობლემის შესახებ. აღნიშნა, რომ შეხვედრა ქონდა ქუჩის მაცხოვრებლებთან და მათი თქმით წვიმის დროს ქუჩა იტბორება, პირველ ეტაპზე ითხოვენ დაგრეიდერებასა და კუსტარული კვალის გაკეთებას.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე /გიორგი ხელაძე/

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31232629**
თარიღი: **19/09/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

თავმჯდომარისა და სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის

მაჟორიტარი დეპუტატის ია მოქიას

მოხსენებითი ბარათი

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 18 სექტემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კოლექტიური განცხადებით მომართა გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩების მაცხოვრებლებმა, რომელთაც მოითხოვეს აღნიშნული ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭება თანდართული რუკის შესაბამისად.

მოგეხსენებათ, გრიგოლეთი წარმოადგენს საკურორტო ზონას, დამისამართების არქონის გამო მოსახლეობა ბევრ პრობლემას აწყდება, უჭირთ კონკრეტული ადგილმდებარეობის დაზუსტება, სასწრაფო და სამაშველო გადაუდებელ სამსახურებს შემთხვევის ადგილზე მისვლა უგვიანდებათ, ადამიანები კი ვერ სარგებლობენ ელექტრონული სისტემის მეშვეობით იპოვონ ზუსტი მისამართი.

სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, რათა გავუადვილოთ მუშაობა სამსახურებს, მოსახლეობას და უცხოელ ტურისტებს, რამოდენმე თვეა მოსახლეობასთან აქტიურად თანამშრომლობით და მათი ინიციატივით ვმუშაობთ გრიგოლეთის დამისამართების საკითხზე.

უშუალოდ შევხვდი ადგილობრივ მაცხოვრებლებს და მათ შეარჩიეს ნოდარ დუმბაძის სახელწოდება ზემოაღნიშნული ქუჩებისთვის.

მხარს ვუჭერ მოსახლეობის ინიციატივას და შემოვდივარ წინადადებით, განვიხილოთ გრიგოლეთის N2 და N6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელწოდების მინიჭების შესახებ მოსახლეობის ინიციატივა.

პატივისცემით,

ია მოქია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2023 წლის დეკემბერი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩებს ეწოდოს ნოდარ დუმბაძის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად, კერძოდ:

ა) კურორტ გრიგოლეთის მე-2 ქუჩა და მე-6 ქუჩის ძირითადი მონაკვეთი განისაზღვროს „ნოდარ დუმბაძის“ ქუჩის სახელწოდებით;

ბ) კურორტ გრიგოლეთის მე-6 ქუჩის I ჩიხი განისაზღვროს „ნოდარ დუმბაძის ქუჩის I ჩიხად“;

გ) კურორტ გრიგოლეთის მე-2 ქუჩის I ჩიხი განისაზღვროს „ნოდარ დუმბაძის ქუჩის II ჩიხად“;

დ) კურორტ გრიგოლეთის მე-6 ქუჩის დარჩენილი მონაკვეთი, რომელიც უერთდება „წმინდა გრიგოლის“ ქუჩას განისაზღვროს „ნოდარ დუმბაძის I შესახვევად“.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

სიტუაციური რუკა
წმინდა გრიგოლის VIII ჩიხი
წმინდა გრიგოლის ქუჩა
ნოდარ დუმბაძის I შესახვევი
ნოდარ დუმბაძის II ჩიხი
წმინდა გრიგოლის V ჩიხი
წმინდა გრიგოლის IV ჩიხი
ნოდარ დუმბაძის I ჩიხი
ნოდარ დუმბაძის ქუჩა
1 სმ = 10 მ